საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030161451762720

№ 01-201/ო **18 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

„დანართი“

პოლიტიკის დეპარტამენტის, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ვაკანტური თანამდებობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. პოლიტიკის დეპარტამენტის, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) **უმაღლესი განათლება** - მედიცინა, მაგისტრი;

ბ) **სამუშაო გამოცდილება** - საჯარო სამსახურში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ - 3 წლის გამოცდილება;

გ) **კომპიუტერული პროგრამები** - (MS office Word, Excel, Power point da Outlook) კარგ დონეზე ცოდნა.

2. პოლიტიკის დეპარტამენტის, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
გ) „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
დ) „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე) „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ვ) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ზ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება;
თ) ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილება;
ი) ,,საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება.